ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N263
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 13.10.2016

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,კარდინალი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ლომთაძის სახით, ორივე ერთად შემდგომში წოდებული როგორც „მხარეები", სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის საფუძველზე, <u>გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მონეტარული ზღვრის დაცვით,</u> ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ პირდაპირ არ არის მითითება სამუშაო დღეზე.
2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მცხეთის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის სხდომის დარბაზში არსებული ლამინირებული ბარიერის გადატა, განსასჯელისთვის განკუთვნილი საკნის დემონტაჟი და დარბაზის შესასვლელთან მონტაჟი და გამაგრება (CPV 50850000).
3.2. თავის მხრივ, შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს მომსახურება თუ ის შეესაბამება მის მიერ მოთხოვნილს და გადაიხადოს მისი ღირებულება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 900 (ცხრაასი) ლარით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - შემსყიდველის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დგება და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, მომსახურების სრულად განხორციელების შემდეგ.
6.2. მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამ ეგზემპლარად, საიდანაც ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს.
6.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია შემსყიდველის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

7. მიწოდების დრო და ადგილი

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია, განახორციელოს მოსახურება არაუგვიანეს 2016 წლის 13 ოქტომბრისა.
7.2 მომსახურების განხორციელების ადგილი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. 17, მცხეთის რაიონული სასამართლო.

8. გარანტია

8.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მომსახურებას განახორციელებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.
8.2. განხორციელებულ მომსახურებაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაყოვნებლივ საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ხარვეზი, შემსყიდველის მოთხოვნიდან 1 სამუშაო დღეში.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.
9.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;
9.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და მის საფუძველზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან (ასეთის არსებობისას) 10 სამუშაო დღის ვადაში.
9.4. დაფინანსების წყარო: 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

10. ხელშეკრულებაში ცვლილება

10.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.3. მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც

არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;
10.4. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ორმხრივი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;
11.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ და ეცადოს, გამონახოს ვალდებულებების შესრულების ალტერნატიული საშუალებები.

12. მხარეთა ურთიერთობა

12.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
12.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
12.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
12 3.1. შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;
12 3.2. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი"-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.
13.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.3. სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს ოდენობით.
13.4. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი (დაგვიანებული) თანხის 0,02 %-ის ოდენობით.
13.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. დამატებითი პირობები

15.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს
საბჭოსთან არსებული
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
ს/კ 203860642
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #32

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

მიმწოდებელი:
შპს ,,კარდინალი"
ს/კ 412713620
იურ. მის: ქუთაისი სულხან-საბას გამზ. N 57 ბ. 1
ფაქტ. მის: ქ. თბილისი, ერისთავის ქ. 1
სს ,,ვითიბი ბანკი"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგარიშის # GE77VT0500000061063602
ტ: 551 50 97 45

გიორგი ლომთაძე
დირექტორი